ახალი ხარაგაული

385 (16) 27 აგვისტო, 2018 წ.

იმერეთის გუბერნატორმა შავლეგო ტაბატაძემ სარაგაულის აღგილობრივი ხელისუფლების წარმომაღგენლებთან სამუშაო შეხვედრა გამართა

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა-გუბერნატორმა შავლეგო ტაბატაძემ რეგიონში გასვლითი შეხვედრები დაიწყო. 24 აგვისტოს პირველ მოადგილესთან, გრიგოლ დალაქიშვილთან ერთად, იგი ხარაგაულის მუნიციპალიტეტს სტუმრობდა. ვიზიტის ფარგლებში შეხვედრა მოეწყო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერ ნიკოლოზ თოფურიძესთან, საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძესთან, მერიის სამსახურის უფროსებთან და საკრებულოს წევრებთან. მხარის რწმუნებულის განცხადებით, აუცილებელია გუნდურად მუშაობა და მუნიციპალიტეტების წინაშე არსებული გამოწვევების ერთობლივად გადაჭრა.

„მთავრობის უმთავრესი პრიორიტეტი რეგიონების განვითარებაა. იმერეთში მცხოვრებ მოსახლეობას აქვს ბევრი პრობლემა და ჩვენ ეტაპობრივად უნდა ვიზრუნოთ მათ გადაჭრაზე. რთულია ყველაფერი ერთ თვეში მოგვარდეს, მაგრამ გპირდებით, თუ საჭირო იქნება 24 საათის განმავლობაში ვიმუშავებ და მაქსიმალურად შევეცდები შემჭიდროებულ ვადებში მოვაგვარო ყველა საკითხი. ჩემი მთავარი ამოცანაა, მოსახლეობას დავუდგე გვერდით და თითოეულს დავეხმარო საჭიროებისამებრ“, - აღნიშნა იმერეთის გუბერნატორმა.

შეხვედრაზე შავლეგო ტაბატაძემ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის, ასევე, სოციალური, ჯანდაცვის, კულტურისა და ტურიზმის შესახებაც მოისმინა ინფორმაცია.

გუბერნატორი მსგავსი ტიპის შეხვედრებს იმერეთის ყველა მუნიციპალიტეტში გეგმავს.

შეგახსენებთ, რომ პოლკოვნიკმა შავლეგო ტაბატაძემ იმერეთის გუბერნატორის პოსტი 2 აგვისტოს ჩაიბარა. იგი სწავლობდა თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული სამხედრო აკადემიის სახმელეთო ფაკულტეტზე, გავლილი აქვს ეროვნული და საერთაშორისო სასწავლო კურსები, მათ შორის, გენერალური შტაბის კურსი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. მიღებული აქვს მედლები – „გენერალი მაზნიაშვილი“ და „სამშობლოსათვის თავდადებული“, ასევე სხვა ეროვნული და საერთაშორისო ჯილდოები. მონაწილეობდა სამშვიდობო მისიებში – კოსოვოში, ერაყსა და ავღანეთში. სამხედრო კარიერის განმავლობაში მან სხვადასხვა ეტაპი გაიარა. იყო I ქვეითი ბრიგადის შტაბის უფროსი, III ქვეითი ბრიგადის მეთაური, V ქვეითი ბრიგადის მეთაური; ბოლო პერიოდში კი, გენერალურ შტაბში J-7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების დეპარტამენტის საბრძოლო მომზადების სამმართველოს უფროსის თანამდებობა ეკავა.

ხარაგაულის სოფლებში კარატეს ჯგუფების გახსნა იგეგმება

მომავალი წლიდან კარატეს ეროვნული ფედერაცია ხარაგაულში ჯგუფებს გახსნის. ამის შესახებ ფედერაციის წარმომადგენლებმა მუნიციპალიტეტის მერთან, ნიკოლოზ თოფურიძესთან და სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის დირექტორთან, გრიგოლ ჭიპაშვილთან, შეხვედრაზე ისაუბრეს. მხარეთა შეთანხმებით, კარატეს ოფიციალური წრეები, სავარაუდოდ, ცენტრალური მაგისტრალის მიმდებარე სოფლებში - ბორითსა და ვერტყვიჭალაში - არსებულ დარბაზებში გაიხსნება. შემსწავლელ ჯგუფს ეყოლება სერტიფიცირებული მწვრთნელი და მონაწილეობას მიიღებენ როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ჩემპიონატებზე. კარატე ორი წლის წინ გახდა ოლიმპიური სპორტი და ეროვნული ფედერაცია აქტიურად ემზადება 2020 წლის ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის მისაღებად. აქედან გამომდინარე, ფედერაცია, რომელიც პროგნოზირებს, რომ ოლიმპიადაზე, სულ ცოტა, 2 მედალს მაინც მოიპოვებს, მაქსიმალურად ცდილობს, რეგიონებში არსებული რესურსი გამოიყენოს.

ლახუნდარაში გზის მშენებლობა გაგრძელდა

ლახუნდარაში გზის მშენებლობა გაგრძელდა. 1 600-მეტრიან მონაკვეთზე სამუშაოები 2017 წელს დაიწყო, თუმცა ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ ვალდებულება არ შეასრულა და რეაბილიტაცია სოფლის ცენტრალური გზის მხოლოდ 800-მეტრიან მონაკვეთს ჩაუტარა.

განმეორებითი ტენდერი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ 2018 წელს გამოაცხადა. გამარჯვებული კომპანია საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობას 94 945 ლარად დაასრულებს. ხარაგაულის მერის პირველი მოადგილე არჩილ მაღრაძე და მერიის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურების უფროსები ლახუნდარაში, სოფლის წარმომადგენლებთან ერთად, სამუშაოების შემსრულებლებს შეხვდნენ და ადგილობრივ მოსახლეობას გაესაუბრნენ.

სოფლის ცენტრალური გზის, დაახლოებით, 800-მეტრიან მონაკვეთზე ბეტონის საფარის დაგების სამუშაოები სექტემბრის შუა რიცხვებში დასრულდება.

ნაჩაბაშვილმა ქალაქ ლიმბაჟის სახალხო თეატრს უმასპინძლა

ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრი 27 წელია, ლატვიის ქალაქ ლიმბაჟის სახალხო თეატრთან მეგობრობს. სწორედ ამ მეგობრობის გასაძლიერებლად ლატვიელი მსახიობები ხარაგაულს ესტუმრნენ. მათ პატივსაცემად მუნიციპალიტეტში არაერთი ღონისძიება მოეწყო. შესრულდა ქართულ - ლატვიური მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნომრები. ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრის რეჟისორმა ირინე ჩხეიძემ ორი თეატრის მეგობრობის ისტორია მოკლედ მიმოიხილა, რაც ვიდეოკოლაჟის სახით იქნა ნაჩვენები დამსწრე საზოგადოებისთვის.

ღონისძიებაზე მერის პირველმა მოადგილე არჩილ მაღრაძემ ორ ერს შორის განსაკუთრებული მეგობრობისა და სიყვარულის შესახებ ისაუბრა და ლიმბაჟის თეატრალურ დასს სიმბოლური საჩუქარი გადასცა. ლატვიელებმა მერის მოადგილე ტრადიციული სუვენირებით დაასაჩუქრეს და ლიმბაჟში ოფიციალურად მიიწვიეს.

ლატვიელებს ქართული ღვინო გადასცა კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორმა ნიკოლოზ მაჭავარიანმა.

მეორე დღეს სტუმრებისთვის ხარაგაულის კინოთეატრში ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრმა სპექტაკლი „ორნი“ ითამაშა. ასევე მოეწყო თამაზ კიკნაძის სახელობის სკვერში თვითნასწავლი მხატვრის ნანა კიკნაძის ნამუშევრების გამოფენა, რომელიც ღია ცის ქვეშ გამართული კონცერტით დასრულდა.

სტუმართა პატივსაცემად კლასიკური მუსიკის საღამო ჩატარდა შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლაში. ამავე დღეს ლატვიელმა მსახიობებმა ხარაგაულელი მაყურებლისთვის სპექტაკლი „ჩარლის ნათლია“ განსაკუთრებული სასცენო ხელოვნებითა და გამორჩეული ინტერპრეტაციით ითამაშეს. სპექტაკლი, რომელშიც ახალგაზრდა ბიჭები სიყვარულის მოსაპოვებლად ათასგვარ ტყუილსა და სისულელეს იგონებენ, არარეალური და აბსურდული სიტუაციებით სავსე კომედიაა. ჩვენებას ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი კობა ლურსმანაშვილი, ხარაგაულის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რუსუდან გიორგაძე და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ.

საქართველოში სტუმარმასპინძლობის ტრადიცია რომ ერთ - ერთი უძველესი და უპირველესია, ამაში ლატვიელები ნამდვილად დარწმუნდნენ. ლიმბაჟის სახალხო თეატრის დასს ხარაგაულელმა პაატა ჭიპაშვილმა და თამარ კურტანიძემ საკუთარ მარანში უმასპინძლეს. მათთან ერთად ამოავლეს ჩურჩხელა, ჩააკრეს თონეში პური, დააგემოვნეს ქვევრის ღვინო და ინტერესით მოისმინეს საუბარი ქართული ტრადიციული ღირებულებების შესახებ.

გაგრძელება ▶ 2 გვ.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

ნაჯაბაურმა ქალაქ ღიმბალის სახელოო თეატრს შეასპინძლა

დასაწყისი ▶ 1 გვ.

ლატვიელებმა, ვიზიტის ფარგლებში, ქუთაისიც მოინახულეს. დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობები და ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში სპექტაკლიდან „ჩარლის ნათლია“ მოკლე ნაწყვეტი შეასრულეს. ისინი ასევე იმყოფებოდნენ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში.

შეგახსენებთ, რომ ლატვიელების ხარაგაულში ვიზიტის მხარდამჭერია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია.

ხარაგაულში ზრდასრულთა განათლების ცენტრი იხსნება

ხარაგაულში ზრდასრულთა განათლების ცენტრი იხსნება. ამის შესახებ მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა ჯაბა ბერაძემ 20 აგვისტოს გამართულ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე ისაუბრა. როგორც ბერაძემ განმარტა, ზრდასრულთა განათლების ცენტრი გერმანული ასოციაციის საქართველოს ოფისის ინიციატივით იხსნება. მისივე თქმით, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა ექნება, ჩაერთოს საგანმანათლებლო პროექტში და უფასოდ გაიაროს ჭრა-კერვის, კომპიუტერული პროგრამების, უცხო ენებისა და სხვა შემსწავლელი კურსები. როგორც სხდომაზე აღინიშნა, ცენტრის ფუნქციონირებისათვის საჭიროა ყოფილი პოლიციის შენობის პირველ სართულზე არსებული 220,05 კვმ. ფართობი და არასასოფლო სამეურნეო 400 კვმ. მიწა სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმა), 10 წლის ვადით გადაეცეს აღნიშნულ ორგანიზაციას, რომელიც თავად უზრუნველყოფს ფართის მოწესრიგებას და შენობის საჭირო ინვენტარით აღჭურვას.

ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით დეპუტატებმა იმსჯელეს, როგორც ბიუროს, ასევე კომისიის სხდომებზე. განიხილეს ხელშეკრულების პროექტი, რომელშიც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ იჯარით გადაცემული ქონება მხოლოდ საგანმანათლებლო კუთხით იქნება გამოყენებული და სწავლის შეწყვეტის შემთხვევაში ქონება მუნიციპალიტეტს დაუბრუნდება.

საკრებულოს სხდომაზე იმყოფებოდა პროექტის ერთ-ერთი ორგანიზატორი, არასამთავრობო ორგანიზაცია „წიფლარის“ ხელმძღვანელი, მანანა ტაბაშიძე, რომელმაც ვრცლად ისაუბრა პროგრამის შესახებ და განმარტა, რომ სწავლება, სავარაუდოდ, იანვრიდან დაიწყება და ის მიმართულებები იფუნქციონირებს, რომლებზეც მოთხოვნა იქნება.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საჯარო განცხადება გააკეთა საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილმა - „ქართული ოცნების“ ხელისუფლების ერთ - ერთი მთავარი პრიორიტეტი ახალგაზრდებისათვის განათლების ხელშეწყობაა. 14 აგვისტოს გამართულ საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომაზე ზრდასრულთა განათლების ცენტრის ჩამოყალიბებაზე ვიმსჯელეთ. უმრავლესობამ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ საკითხისათვის მნიშვნელოვანი ყურადღება დაგვეთმო, იურიდიული პროცედურების დაცვით მოგვეხდინა რეაგირება და აქედან გამომდინარე, 15 აგვისტოს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში ვერ შევიდა.

საკრებულოში არ ყოფილა დოკუმენტალურად წარმოდგენილი ინფორმაცია, თუ რა რაოდენობის ბენეფიციართა სწავლებას უზრუნველყოფს ორგანიზაცია. გაიცემა თუ არა სწავლების დამადასტურებელი დოკუმენტი. ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით კომისიებმა ვიმუშავეთ. ჩვენს ყველა შეკითხვას პასუხი ამომწურავად გაეცა. გაირკვა, რომ სწავლება უფასო იქნება და ორგანიზაცია შენობის რემონტს თავად უზრუნველყოფს. ადგილობრივი სპეციალისტები დასაქმდებიან პედაგოგებად. გავეცანით სხვა მუნიციპალიტეტებში ანალოგიური პროექტის განხორციელების პრაქტიკასაც და, შესაბამისად, მივიღეთ დადებითი გადაწყვეტილება. ხარაგაულის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვან საკითხებს საკრებულო ყოველთვის მხარს უჭერს. თუმცა არსებობს კანონით დადგენილი პროცედურები, რომლის დაცვაც ჩვენი ვალია.“-აღნიშნა ვარლამ ჭიპაშვილმა.

საბოლოოდ დეპუტატების უმრავლესობამ ფართის გადაცემის საკითხზე მერიას თანხმობა მისცა.

თამარ მაღრაძე

უბისა-შორაპნის მონაკვეთის მშენებლობისთვის სატენდერო წინადადებები გაიხსნა

რიკოთის საუღელტეხილო გზის უბისა-შორაპნის მონაკვეთის მშენებლობისთვის გამოცხადებულ საერთაშორისო ტენდერზე დაინტერესებული კომპანიების მიერ წარმოდგენილი წინადადებები გაიხსნა. სატენდერო წინადადება სულ 8 კომპანიამ წარმოადგინა. შემდეგ ეტაპზე შემოთავაზებული წინადადებების განხილვა მოხდება და დონორ ორგანიზაციასთან კონსულტაციით გამარჯვებული კომპანია გამოვლინდება.

უბისა-შორაპნის მონაკვეთზე დაგეგმილია ცემენტ-ბეტონის 4-ზოლიანი 13-კმ-იანი გზის, 27 ხიდისა და 18 გვირაბის მშენებლობა. სამშენებლო სამუშაოებს ევროპის საინვესტიციო ბანკი აფინანსებს. აღნიშნული პროექტი, სირთულისა და სამუშაოების მასშტაბით, უპრეცედენტოა საქართველოში.

აღსანიშნავია, რომ რიკოთის საუღელტეხილო მონაკვეთი E60 აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის ერთ -ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის განვითარება კი, ქვეყნის სივრცითი მოწყობის ფარგლებში, დაგეგმილი მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების უმსხვილეს კომპონენტს წარმოადგენს.

მაგისტრალური გზების მოდერნიზაციის პროგრამის ძირითადი მიზანია, E60-E70 აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის გაუმჯობესება, გაზრდილი სატრანზიტო გადაზიდვებისათვის შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურის შექმნა, რასაც მთლიან შიდა პროდუქტში მნიშვნელოვანი და მზარდი წილი შეაქვს. განვითარდება ეკონომიკა და გაუმჯობესდება თითოეული მოქალაქის ეკონომიკური მდგომარეობა.

რიკოთის უღელტეხილზე, საერთო ჯამში, დაგეგმილია 51.6 კმ-მდე სიგრძის გზის მშენებლობა, რომელიც 96 ხიდსა და 53 გვირაბს მოიცავს. რიკოთის საუღელტეხილო მონაკვეთის მოდერნიზება უმნიშვნელოვანესია საგზაო ქსელის განვითარებისა და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის კუთხით. რიკოთის მონაკვეთის მოდერნიზება ხელს შეუწყობს ჩქაროსნული გზის გამტარუნარიანობისა და სატრანზიტო ტვირთბრუნვის ზრდას, ასევე ავტოტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების დონის ამაღლებასა და მგზავრობის დროის შემცირებას.

რიკოთის საუღელტეხილო მონაკვეთის მშენებლობა 4 სექციად არის დაყოფილი: ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთი (I სექცია) 11.7 კმ, ხევი-უბისის მონაკვეთი (II სექცია) 12,2 კმ, უბისა-შორაპნის მონაკვეთი (III სექცია) 13 კმ, შორაპანი-არგვეთას მონაკვეთი (IV სექცია) 14,7კ.

დეპუტატებმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ გვერდის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ინფორმაცია მოისმინეს

20 აგვისტოს ბიუროს სხდომაზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ვებ გვერდის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ინფორმაცია მოისმინეს. საკითხი განყოფილების უფროსმა თეა ბერიძემ წარადგინა. მომხსენებლის თქმით, ვებ გვერდი kharagaulinews.gov.ge 2015 წლის 7 აპრილს შევიდა ექსპლუატაციაში და ადმინისტრირებას საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება უწევს. ვებ გვერდზე ოპერატიულად და რეგულარულად თავსდება განყოფილების თანამშრომლების მიერ მომზადებული მასალები მუნიციპალიტეტში მიმდინარე პოლიტიკური, ინფრასტრუქტურული, სოციალური, კულტურული, სპორტული თუ სხვა სახის ღონისძიებების შესახებ.

„ვაშუქებთ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს საქმიანობას, ბიუროსა და საკრებულოს სხდომების მიმდინარეობას. ინფორმაციას ვაწვდით მოსახლეობას ხარაგაულში არსებული არასამეწარმეო-არაკომერციული იურიდიული პირების, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებისა და სხვადასხვა ორგანიზაციაში ჩატარებული მნიშვნელოვანი და მასშტაბური აქტივობების შესახებ,“ - აღნიშნა თეა ბერიძემ.

განყოფილების უფროსის განმარტებით, 2018 წელს განხორციელდა ვებ გვერდის რებრედინგი და ახლახან იგი განახლებული დიზაინითა და მისამართით შევიდა ექსპლუატაციაში. ვებ გვერდის ახალი ვერსია გაცილებით უფრო მოქნილი და ეფექტურია. საიტი არის ე.წ. რესპონსივი, რაც ნიშნავს, რომ ინტერნეტის ტელეფონით მომხმარებლებისთვის იგი უფრო ხელსაყრელი და ადვილად მოხმარებადია. ვებ გვერდის ახალ ვერსიაში ინფორმაციები უფრო მოკლედ, კონკრეტულად და მკაფიოდაა წარმოდგენილი. განახლებულ ვებ გვერდზე დატანილია ინფორმაცია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს, ა(ა)იპ -ებისა და სხვადასხვა ორგანიზაციის შესახებ.

როგორც ბერიძე ამბობს, სტატისტიკური მონაცემებით ვებ გვერდს ამ დროისათვის 1 755 185 ნახვა აქვს, აქედან უნიკალური ვიზიტორია 97 359.

დეპუტატების გადაწყვეტილებით, ვებ გვერდის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ინფორმაცია შეტანილ იქნა 3 სექტემბრის საკრებულოს დღის წესრიგში.

თამარ მაღრაძე

საფინანსო - საბიუჯეტო კომისიამ 10 თვის მუშაობის ანგარიში წარმოადგინა

20 აგვისტოს გამართულ ბიუროს სხდომაზე საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში მოისმინეს. საანგარიშო პერიოდი 2017 წლის ნოემბრიდან აგვისტოს ბოლომდე საქმიანობას მოიცავდა. საკითხი ამავე კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილმა წარმოადგინა. მომხსენებლის ინფორმაციით, კომისია შედგება 19 წევრისაგან და მიმდინარე წელს 14 სხდომა ჩატარდა. ვარლამ ჭიპაშვილმა დაწვრილებით ისაუბრა კომისიის უფლებამოსილებისა და საქმიანობის შესახებ. ასევე

ყურადღება გაამახვილა გაცემულ რეკომენდაციებსა და შენიშვნებზე.

„საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ თვითმმართველი ერთეულის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვისას საჯარო შეხვედრები მოაწყო საკრებულოს კომისიებთან, ფრაქციებთან, საბიუჯეტო ორგანიზაციებთან და შეხვედრების ანალიზის შემდგომ უმრავლესობისა და უმცირესობის მონაწილეობით შევიმუშავეთ საბიუჯეტო შენიშვნები და კანონით დადგენილ ვადებში მივმართეთ მუნიციპალიტეტის მერიას. კომისიამ გასული წლების პრაქტიკაზე დაყრდნობით ითხოვა რიგი შემოსავლების გეგმის შემცირება, რათა შემდგომში მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას საფრთხე არ დამუქრებოდა.“ - განმარტა ვარლამ ჭიპაშვილმა.

კომისიის თავმჯდომარის ინფორმაციით, თვითმმართველი ერთეულის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსულობები შესრულდა 100 %-ით, ხოლო ხარჯები 71 %-ით. 2018 წლის ბიუჯეტის 3 თვის შედეგების მიხედვით შემოსულობების ნაწილი შესრულდა 89,5 %-ით, ხარჯები კი 66,9 %-ით. 2018 წლის ბიუჯეტის 6 თვის შედეგებით შემოსულობების შესრულების მაჩვენებელი იყო 94,5 %, ხოლო ხარჯების – 77,7 %.

ვარლამ ჭიპაშვილმა თავის მოხსენებაში ინფრასტრუქტურულ პროექტებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში საკმაოდ სოლიდური თანხები იხარჯება.

„მიმდინარე წელს რეგიონული განვითარების ფონდიდან ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მუნიციპალიტეტს 5 577 751 ლარი გამოეყო და ათვისებულია მხოლოდ 1 600 000 ლარი. მთის განვითარების ფონდიდან განისაზღვრა 320300 ლარი, რომელიც საერთოდ არაა ათვისებული. 2018 წელს სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 2 183 000 ლარი და 6 თვის მდგომარეობით გაიხარჯა დაახლოებით 25%. აღსანიშნავია, რომ მერიიდან მოწოდებული ინფორმაციით, გააქტიურებულია ღონისძიებების გატარება თანხების ათვისების კუთხით და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის განმარტებით, უახლოეს ხანში შესრულების მაჩვენებელი შედარებით გაიზრდება.“-დასძინა ჭიპაშვილმა.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ საკრებულოს წარმომადგენლობით ხარჯებზეც ისაუბრა და განმარტა, რომ საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივით მინიმუმამდე იქნა დაყვანილი საკრებულოს რემონტისა და საოფისე ხარჯები. დღეის მდგომარეობით, საკრებულოს წარმომადგენლობითი ხარჯიდან (6 000 ლარი) გახარჯულია მხოლოდ 1200 ლარი. ვარლამ ჭიპაშვილმა ასევე ხაზგასმით აღნიშნა ის ფაქტი, რომ კომისიის მუშაობაში უმრავლესობასთან ერთად კონსტრუქციულად მონაწილეობენ კომისიის ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები. ჭიპაშვილის თქმით, მათი ჩართულობა მნიშვნელოვანია მიღებული გადაწყვეტილებების ლეგიტიმურობისა და დემოკრატიულობის კუთხით.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიშის შესახებ, დეპუტატები უფრო ვრცლად 3 სექტემბერს გამართულ საკრებულოს მორიგ სხდომაზე იმსჯელებენ.

თამარ მაღრაძე

მინი ფეხბურთის ტურნირი დასრულდა

ორგანიზაციებს შორის მინი ფეხბურთის ტურნირი, რომელიც ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რამდენიმე კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა, დასრულდა. ტურნირის გამარჯვებული ა(ა)იპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრის“ გუნდი გახდა. ფინალურ შეხვედრას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე დაესწრო და გამარჯვებულებს სიმბოლური ფასიანი საჩუქრები გადასცა. მინი ფეხბურთი ხარაგაულის სპორტულ დარბაზში მერიის კულტურის სამსახურის ორგანიზებითა და სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის ხელშეწყობით მოეწყო. ფინალში ერთმანეთს სპორტისა და შიდა ტურიზმის განვითარებისა და კულტურისა და ხელოვნების ცენტრის გუნდები შეხვდნენ. საბოლოო გამარჯვება ა(ა)იპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრმა“ მოიპოვა და მოწინააღმდეგე ანგარიშით 5:2 დაამარცხა. ტურნირში ასევე გამოვლინდნენ სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული მოთამაშეები - საუკეთესო მოთამაშე- ბათუ კიკნაძე, მაყურებლის სიმპათია-გოჩა გელაშვილი და საუკეთესო მეკარე - ბათუ კიკნაძე.

ნომინაციაში გამარჯვებული ფეხბურთელები შესაბამისი სიგელებით კულტურის სამსახურის უფროსმა ირინე ჩხეიძემ დააჯილდოვა.

ეკა შავიძე

ბიუროს სხდომაზე საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში განიხილეს

20 აგვისტოს გამართულ ბიუროს სხდომაზე დეპუტატებმა საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში მოისმინეს, რომელიც ამავე კომისიის თავმჯდომარე გივი თხელიძემ წარმოადგინა. საანგარიშო პერიოდი 2018 წლის იანვარ-აგვისტოს თვეს მოიცავდა.

მომხსენებლის ინფორმაციით, ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მუნიციპალიტეტში სოციალური დაცვის მიმართულებით მოქმედებს 6 ძირითადი და 17 ქვეპროგრამა. მიმდინარე წლის იანვარ - ივლისში სოციალურ მიმართულებაზე დაიხარჯა 313 210 ლარი, სხვადასხვა სახის დახმარება გაეწია 1021 ბენეფიციარს, მათ შორის: სამედიცინო კვლევებისა და მომსახურებისათვის 348 ბენეფიციარს (144,720 ლარი); მედიკამენტების შესაძენად 155-ს (33,242 ლარი); C ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვისთვის საჭირო კვლევების დასაფინანსებლად 9-ს (2016 ლარი); სტიქიური მოვლენების და ხანძრის შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების პირველი კატეგორიის მქონე 14 ოჯახს (20 050 ლარი); აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მერიის სარეზერვო ფონდიდან დახმარება გაეწია მრავალშვილიან ორ ოჯახს. 10 000 ლარი მიიმართა ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. წიფში მცხოვრებ პაატა შველიძის მრავალსულიანი ოჯახისათვის კაპიტალური სახლის შესაძენად. მუნიციპალიტეტის

მერია მზად არის ასევე, საცხოვრებელი სახლი შეუძინოს მარელისში მცხოვრებ ლორთქიფანიძეების ოჯახსაც.

რაც შეეხება ჯანდაცვის სფეროს, როგორც გივი თხელიძემ განმარტა, მუნიციპალიტეტის სოფლებში 14 სასოფლო ამბულატორიაა. გარდა ამისა დაბაში ფუნქციონირებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კლინიკა, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით და მოსახლეობას რაიონიდან გაუსვლელად შეუძლია, მიიღოს ქირურგიული, თერაპიული, ასევე გეგმიური და გადაუდებელი დახმარების სერვისები.

ჯანდაცვისა და სოციალური კომისიის თავმჯდომარემ სათნოების სახლის შესახებაც ისაუბრა. მისივე თქმით აღნიშნული მომსახურებით 73 სოციალურად დაუცველი მოქალაქე სარგებლობს და მათი კვება ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. კვება არის ერთჯერადი, კვირაში 6 დღე. მიმდინარე წლის შვიდი თვის განმავლობაში ამ მიმართულებით 16.712 ლარი დაიხარჯა. გარდა ამისა, სათნოების სახლის ხელმძღვანელობა უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს ეხმარება საკვები პროდუქტით. ამ ეტაპზე 25 ოჯახს გაეწია დახმარება, რომლისთვისაც 1235 ლარი დაიხარჯა.

როგორც გივი თხელიძემ განმარტა, კომისიამ მოისმინა სურსათის უვნებლობის სამსახურის ინფორმაცია რაიონის ტერიტორიაზე რძის პროდუქტებისა და ხორცპროდუქტების უვნებლობის შესახებ. მათ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, აღნიშნული პროდუქტების მოხმარება მუნიციპალიტეტის მასშტაბით აბსოლუტურად უსაფრთხოა. თხელიძის განმარტებით, კომისია შუამდგომლობას უწევს იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომლებიც ჩართული არიან მუნიციპალიტეტში მოქმედ ყველა სოციალურ პროგრამაში. უკიდურესად გაჭირვებულს დახმარება ეწევათ საშეშე მასალით. ასევე ცენტრალური ბიბლიოთეკის ბაზაზე მოქმედებდა უსინათლოებისათვის ბრაილის შრიფტით შემსწავლელი კურსები, რისთვისაც 7000 ლარი დაიხარჯა. სწავლება სექტემბრიდან კვლავ განახლდება.

აღნიშულ საკითხთან დაკავშირებით დეპუტატები ვრცლად 3 სექტემბერს გამართულ საკრებულოს მორიგ სხდომაზე იმსჯელებენ.

თამარ მაღრაძე

ა/ო „ქალები ქვეყნის მომავლისათვის“ პროექტი ბაზალეთში

ა/ო „ქალები ქვეყნის მომავლისათვის“ ახორციელებს პროექტს „გენდერული თანასწორობის საბჭოები და გარემოსდაცვითი ინიციატივები“, რომლის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტში განხორციელდა სხვადასხვა გარემოსდაცვითი აქტივობა. კერძოდ, მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია ნარჩენების მართვის, გლობალური დათბობის, ალტერნატიული ენერგიებისა და საზოგადოების გარემოზე პასუხისმგებლობის შესახებ.

როგორც ა/ო „ქალები ქვეყნის მომავლისათვის“ დამფუძნებელი ხათუნა მანჯავიძე აცხადებს, პროექტის სამიზნე ჯგუფი გენდერული საბჭოს ქალი წარმომადგენლები გახლდათ, რომლებმაც გაიარეს გარემოსდაცვითი ტრენინგი და თითოეულმა ქალმა შექმნა 12 ქალისგან შემდგარი ჯგუფი. „გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ ხარაგაულში თითოეული მაღაზია ერთი თვის განმავლობაში 100 ლარის ღირებულების პოლიეთილენის პარკს მოიხმარს. თუ გავითვალისწინებთ მაღაზიების რაოდენობას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყოველივე მძიმე ტვირთად აწევს გარემოს. ვფიქრობ, საზოგადოება ვალდებულია, პასუხისმგებლობით მოეკიდოს აღნიშნულ პრობლემას, უარი თქვას ცელოფანზე ან შეამციროს მისი მოხმარება. ამ მიზნით აღნიშნულ ჯგუფებში დარიგდა ბამბის ქსოვილის ჩანთები.“ - განმარტა ქალბატონმა ხათუნამ.

ა/ო „ქალები ქვეყნის მომავლისათვის“ დამფუძნებელი იმედს იტოვებს, რომ აღნიშნულ ინიციატივას გამოუჩნდებიან მიმდევრები და მუნიციპალიტეტში გაჩნდება მოთხოვნილება ნაჭრის ჩანთებზე.

აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში ასევე ჩატარდა გამოკითხვა ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან, თუ რა ეკოლოგიური პრობლემები იყო მათ ტერიტორიულ ერთეულებში. პირველ ადგილზე დასახელდა სასმელი წყლის სისუფთავის საკითხი. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გაკეთდა იმ წყლის ბაქტერიოლოგიური ანალიზი, რომლითაც სარგებლობენ ბაღები და სკოლები. კვლევების საფუძველზე გენდერულმა საბჭომ შეიმუშავა სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელშიც თავმოყრილია ყველა ის პრობლემა, რაც გამოიკვეთა. დოკუმენტი უახლოეს მომავალში გადაეცემა მუნიციპალიტეტის მერიას.

შეგახსენებთ, რომ პროექტი დაფინანსებულია „ქალთა ფონდი “ მიერ, რომლის ფინანსური მხარდაჭერით გასულ წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რამდენიმე ნაგავსაყრელის ადგილას სკვერი მოეწყო.

თამარ მაღრაძე

როგორ ვნატროდი...

მუდამ მოუთმენლად ველოდები საზაფხულო არდადეგებს. მშობლებთან ერთად მოვემგზავრები საქართველოში, რომ მოვინახულოთ ახლობლები, წინაპართა საფლავები და პატივი მივაგოთ მათ ხსოვნას.

ჩვენი ოჯახი ათეული წლებია, კრასნოდარის მხარეში, კრიმსკში, ცხოვრობს. მე იქ დავიბადე და ამჟამად კრიმსკის საშუალო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლე ვარ.

დაიწყება თუ არა ახალი სასწავლო წელი, ვიცი, რომ ჩვენი რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ტრადიციულ დავალებას შემოგვთავაზებს, თუ როგორ გავატარეთ საზაფხულო არდადეგები. მე არ გამიჭირდება ამ საკითხის დაწერა, რადგან შთაბეჭდილებებით ვარ აღსავსე...

ულამაზესია საქართველო, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ ხარაგაული და ჩემი სოფელი ლაშე მაინც გამორჩეულია. წლევანდელმა ზაფხულმა კიდევ უფრო გააფართოვა ჩემი თვალსაწიერი, რადგან საშუალება მომეცა, მეხილა რკინისჯვარი და იქ დავსწრებოდი ფერისცვალების დღესასწაულს.

ქრისტეს თორმეტ მოციქულთაგან ერთ-ერთი, წმინდა ანდრია პირველწოდებული, ქართველებში ქრისტიანობის პირველი მქადაგებელია. პირველ საუკუნეში მას იმერეთის მხარეში მაღალი მთის წვერზე რკინის ჯვარი აღუმართავს და მთის სახელიც „რკინისჯვარი“ აქედან მომდინარეობს. ზღვის დონიდან მისი სიმაღლე 2439 მეტრია. ეს მთა ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში, მდებარეობს. საუფლო დღესასწაულებზე ის უამრავი ხალხი მოეშურება როგორც ხარაგაულიდან, ისე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

ბედნიერება მქონდა, რომ 19 აგვისტოს, ფერისცვალების დღესასწაულზე, ვწვეოდი ამ უწმინდეს ადგილს.

გზა ძნელადსავალია და ამ ადგილამდე მისვლა მხოლოდ მაღალი გამავლობის მანქანებითა და ცხენებით შეიძლება. ბუნების ზღაპრული სილამაზეა ირგვლივ, მისი სრულყოფილად აღწერა შეუძლებელია. შვება და დიდი სულიერი აღმაფრენა განვიცადე, როცა ფეხი დავდგი რკინისჯვარზე, შევეხე ჯვარს, ვემთხვიე წმინდა ანდრია პირველწოდებულის ხატს და სანთლები ავანთე.

მანქანით დაბრუნებაზე უარი ვთქვი. მამამ დანაპირები ამისრულა და უკან ცხენზე ამხედრებულმა 40 კმ. გამოვიარე.

როგორ ვნატრობდი, რომ ამ მშვენიერების მხილველი ჩემთან ერთად ჩემი თანაკლასელები და მასწავლებლები ყოფილიყვნენ.

დავბრუნდები თუ არა კრიმსკში, ყველას გავუზიარებ ჩემს შთაბეჭდილებას, რომ დაინტერესდნენ და ეწვიონ ღვთისმშობლის წილხვედრ უმშვენიერეს საქართველოს, ეწვიონ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს, სადაც ყოველგვარი პირობაა შექმნილი ტურისტებისთვის, ეწვიონ რკინიჯვარს, გაიცნონ ხარაგაული და ის ტრადიციები, რომლებითაც გამორჩეულია შრომისმოყვარე და სტუმართმოყვარე აქ მცხოვრები ხალხი.

ეწვიონ და დარწმუნდებიან, თუ რა სიამაყითა და სიყვარულით ვწერ ამ სტრიქონებს.

გიორგი შავიძე

კრიმსკის საშუალო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლე

ხარაგაულში მწერალ დათო ტურაშვილთან შეხვედრა მოეწყო

ყველასათვის საყვარელმა მწერალმა დათო ტურაშვილმა ხარაგაულელებს კიდევ ერთი შთამბეჭდავი საღამო აჩუქა. ცენტრალურ ბიბლიოთეკაში იგი ხარაგაულელ მკითხველს შეხვდა და თავის შემოქმედებაზე ესაუბრა. მწერალსა და დამსწრე საზოგადოებას შორის ასევე მოეწყო საინტერესო დისკუსია. ამავე დღეს დათო ტურაშვილმა ბიბლიოთეკას საჩუქრად წიგნები გადასცა და თავის გამოსვლაში ყურადღება საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ პრობლემებზე გაამახვილა. მისი თქმით, ერთადერთი გამოსავალი, რაც ქვეყანას გააჩნია, ესაა საგანმანათლებლო სისტემაში მდგომარეობის გაუმჯობესება და იმ ადამიანების შრომის დაფასება, რომლებიც მომავალი თაობების აღზრდაზე არიან პასუხისმგებლები. დათო ტურაშვილმა სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა. როგორც მწერალმა დაანონსა, იგი ახალ წიგნზე მუშაობს, რომელიც ქართული ღვინის წარმოშობის და განვითარების ისტორიას ეხება. ტურაშვილის თქმით, ეს წიგნი ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე იქნება წარდგენილი.

შეგახსენებთ, რომ ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა (Frankfurter Buchmesse) ყველაზე პრესტიჟული და დიდი საერთაშორისო ღონისძიებაა არა მარტო ლიტერატურულ და საგამომცემლო, არამედ, ზოგადად, კულტურულ სფეროში. ყოველწლიურად ბაზრობა 300 000-მდე ვიზიტორს მასპინძლობს და 400 000-მდე წიგნის გამოფენას აწყობს.

დათო ტურაშვილთან შეხვედრას, რომელიც დაახლოებით ორი საათი გაგრძელდა, ადგილობრივი ხელისუფლებისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები დაესწრნენ. დასასრულს, ა(ა)იპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრის“ დირექტორმა ნიკოლოზ მაჭავარიანმა მწერალს მადლობა გადაუხადა მობრძანებისთვის, სიმბოლური საჩუქარი გადასცა და სამომავლოდ ხარაგაულში კვლავ დაპატიჟა.

ეკა შავიძე

მიმდინარე წელს ხარაგაულს რეგიონული განვითარების ფონდიდან 5 577 751 ლარი გამოეყო

2018 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტს რეგიონული განვითარების ფონდიდან 5 577 751 ლარი გამოეყო. აღნიშნული თანხიდან 167 165 ლარი დაბაში მდებარე სკვერების სარეაბილიტაციოდ დაიხარჯება, ხოლო დარჩენილი 5 410 586 ლარი გზების შეკეთებას მოხმარდება. ამის შესახებ ინფორმაცია დეპუტატებს 15 აგვისტოს გამართულ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე სახაზინო - საბიუჯეტო დაგეგმარების განყოფილების უფროსმა ნინო მაღლაკელიძემ მიაწოდა. აღნიშნული საკითხი დეპუტატებმა ცნობის სახით მიიღეს.

ამავე სხდომაზე ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის არქიტექტურულ-სამშენებლო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა გივი კურტანიძემ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველ კლასს დაქვემდებარებულ შენობა-ნაგებობათა მშენებლობის ნებართვის საკითხებზე ისაუბრა. მომხსენებლის ინფორმაციით, „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი გზების ღერძულა ხაზიდან 50 - მეტრიან ზონაში, I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობის ასაშენებლად (გარდა იმ

შენობა - ნაგებობისა, რომელთა მშენებლობა გათვალისწინებულია სახელმწიფო ან/და ადგილობრივი ბიუჯეტიდან და I კლასს დაქვემდებარებული ხაზობრივი ნაგებობების IV და V კატეგორიის ელექტროგადამცემი ხაზების და კავშირგაბმულობის ხაზების მშენებლობისა) სავალდებულოა მშენებლობის ნებართვა, რომელიც გაიცემა II კლასის მშენებლობისათვის დადგენილი წესით; ასევე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და საკურორტო ზონებში (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ ზონებში შენობა - ნაგებობის მშენებლობა/მონტაჟი აკრძალულია ან შეზღუდულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით) სავალდებულოა მშენებლობის ნებართვა, რომელიც გაიცემა II კლასის მშენებლობისთვის დადგენილი წესით.

ამავე საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა თანხმობა განაცხადეს ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის დამატებით 23კვმ. ფართის გადაცემასთან დაკავშირებით. აღნიშული ფართი მუნიციპალიტეტის ბალანსზეა და 9 აპრილის ქუჩა N46-ში მდებარეობს, რომელიც ცესკოს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით არსებობის ვადით გადაეცა.

თამარ მაღრაძე

სამძიმარი

ვაშინგტონში 12 აგვისტოს 80 წლის ასაკში გარდაიცვალა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის ნიკოლოზ თოფურიძის მამა „ამერიკის ხმის“ ქართული რედაქციის უხუცესი კოლეგა გიორგი (გოგი) თოფურიძე. ვუსამძიმრებთ და თანავუგრძნობთ ოჯახს და პატივს მივაგებთ ამ უდიდესი პიროვნების ხსოვნას.

ბატონმა გოგიმ „ამერიკის ხმაში“ მუშაობა 1979 წელს დაიწყო და ქართულ რედაქციას 2006 წლამდე ემსახურა. რადიო ეთერში რამაზ ჯაბადარის სახელით იცნობდნენ. მის პიროვნებაში პროფესიონალიზმთან ორგანულად იყო შერწყმული ზნემაღალი ადამიანური თვისებები. იგი უშურველად ეხმარებოდა ამერიკაში ჩასულ ახალგაზრდა თუ ასაკოვან პიროვნებებს. განსაკუთრებული მამობრივი მზრუნველობით გამოირჩეოდა ქართველი ახალბედა სპეციალისტების მიმართ.

ბატონ გიორგი (გოგი) თოფურიძის სიკეთე, მისი პიროვნული ღირსება არასდროს დაავიწყდება ყველა იმ ადამიანს, ვისაც მასთან ჰქონია ურთიერთობა საქართველოსა და ამერიკაში.

უფალმა დაუმკვიდროს სასუფეველი მარადიულ სამყაროში.

ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრი“
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია
მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში
ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური“

თემურ ფურცელაძის ოჯახი ღრმა მწუხარებას გამოთქვავს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის ბატონ ნიკოლოზ თოფურიძის მამის, „ამერიკის ხმის“ ქართული რედაქციის უხუცესი წევრის,

გიორგი (გოგი) თოფურიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სამხედრო სავალდებულო სამსახურში საშემოდგომო გაწვევა დაიწყო

საქართველოს მთავრობის N408 დადგენილებით, სამხედრო სავალდებულო სამსახურში 2018 წლის საშემოდგომო გაწვევა 13 აგვისტოდან დაიწყო და მიმდინარე წლის 29 დეკემბრამდე გაგრძელდება. თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, შეიარაღებულ ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა 1800-ით განისაზღვრა, იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალ სახელმწიფო დაწესებულებაში 1395-ით, შინაგან საქმეთა სამინისტროს გასამხედროებულ ქვედანაყოფებში 1370-ით, ხოლო სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში 200-ით. სამხედრო სამსახურში გასაწვევთა სამედიცინო შემოწმებას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ახორციელებს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო კი კოორდინაციას უწევს ამ პროცესს, რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს, ის წვევამდელთა მოძიებას უზრუნველყოფს. სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა წელიწადში ორ ეტაპად მიმდინარეობს. ამ ეტაპზე საშემოდგომო გაწვევა დაიწყო და წვევამდელების ასაკი 18-დან და 27 -წლამდეა განსაზღვრული. შესაბამისი უწყებიდან ცნობა ყველა წვევამდელს გადაეგზავნა და ისინი ვალდებული არიან, უწყისის მისვლის შემდეგ 7-დან 14 დღის ვადაში გამოცხადდნენ დაწესებულებაში. თუ პირი, სხვადასხვა მიზეზის გამო, ვერ მოახერხებს სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლას, კანონის მიხედვით, უფლება აქვს, გადავადებით ისარგებლოს. პირველ ჯერზე დაუმორჩილებლობის შემთხვევაში მას მეორედ მიუვა გამოძახება, თუ ამჯერადაც არ გამოცხადდა და საპატიო მიზეზიც არ წარმოადგინა, კანონი ითვალისწინებს ფულად ჯარიმას 1000 ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 30 დღის ვადით. სასჯელის მოხდის ან ჯარიმის გადახდის შემდეგ ამ პირმა სამხედრო სავალდებულო სამსახური მაინც უნდა მოიხადოს.

სამხედრო სამსახურში გაწვევის თაობაზე გადაწყვეტილებას სპეციალური კომისია ღებულობს, რის შემდეგაც წვევამდელები გადაყვანილ იქნებიან თბილისში სამედიცინო-საექსპერტო კომისიაზე. რაც შეეხება სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან გათავისუფლებას, ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რა პრობლემები დაუდგინდება წვევამდელს სამედიცინო შემოწმებისას. ასეთის არსებობის შემთხვევაში არის გარკვეული ვადით შეზღუდვა. ჯარიდან ავტომატურად თავისუფლდება პირი, რომელსაც ჰყავს ორი ან მეტი შვილი ან არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე. კანონის თანახმად, წვევამდელს თანხის გადახდის შემთხვევაში ორჯერ შეუძლია გადავადება. ეს თანხა შეადგენს 2000 ლარს, რომელიც ბანკში სპეციალურ ანგარიშზე უნდა გადაიხადოს და წელიწად - ნახევარი თავისუფალი იქნება. ასევე დროებით გადავადებას ექვემდებარება წვევამდელი, თუ სამხედრო სამსახურში გამოძახების მომენტისათვის არის დედისერთა ან სტუდენტი. თუმცა მათ თანხის გადახდა არ ევალებათ. დედისერთობის შემთხვევაში, მან უნდა ნარადგინოს ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტი. სტუდენტი კი უნდა იყოს აკრედიტებული უმაღლესი სახელმწიფო სასწავლებელში ჩარიცხული.

ეკა შავიძე

„Street ball -2018“-ის გამარჯვებული ღომეეთის გუნდი გახდა

დასრულდა ქუჩის კალათბურთში ყველაზე ახალგაზრდული და ხალხმრავალი ტურნირი, რომელიც ახალგაზრდა ინიციატორთა კავშირის ორგანიზებით 2011 წლიდან მუნიციპალიტეტში ყოველ ზაფხულს იმართება.

ფინალურ შეხვედრაში ერთმანეთს „ღომეეთი“ და „And 1“ დაუპირისპირდნენ, რომელთა შორის, ღომეეთის ნაკრებმა დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა. ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ მიხეილ ღონღაძე დასახელდა.

გამარჯვებულ გუნდს ორგანიზატორებისგან თასი გადაეცა.

„Street ball-2018“ - ის მიმდინარეობას თვალყურს ადევნებდა ზაზა ფაჩულიას კალათბურთის აკადემია, რომელმაც ოთხი მოთამაშე: ანდრია ქალდანი, საბა მესხი, ლევან ავალიშვილი და ლუკა გვასალია სინჯებზე მიიწვია.

ჩემპიონატის მიმდინარეობისას ეწყობოდა მოყვარულთა სროლები ფარში, იღბლიანი მოთამაშეები კოკა-კოლათი და ნაყინით წახალისდნენ ორგანიზატორებისგან.

აგვისტოს ცხელ დღეებში ქუჩის კალათბურთის დაწყებას ხარაგაულში ჩამოსული დამსვენებლები, უკვე ტრადიციულად, წლიდან წლამდე ელოდებიან და ჩემპიონატისთვის განსაზღვრულ დროს საინტერესოდ და შინაარსიანად ატარებენ.

ქუჩის კალათბურთის ჩემპიონატს ხარაგაულში ფინანსური მხარდამჭერი არ ჰყავს. ერთადერთი შემოსავალი თავად ინიციატორთა კავშირის წევრების მიერ გადახდილი საწევროა.

ხისხლის გაღების აქცია ხარაგაულის მუნიციპალიტეტში

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სისხლის გაღების აქცია - „გაიღე სისხლი - გადაარჩინე სიცოცხლე“ - ჩატარდა. აქციაში აქტიურად ჩაერთნენ როგორც მერიისა და საკრებულოს თანამშრომლები, ასევე რიგითი მოქალაქეები.

სისხლის ბანკის გენერალური დირექტორის ინფორმაციით, ბოლო დროს მომრავლებული ავტოსაგზაო და სხვა უბედური შემთხვევების შედეგად, ბანკი დეფიციტურ მდგომარეობაშია და გაღებული სისხლი მოხმარდება ადამიანების სიცოცხლის გადარჩენასა და ჯანმრთელობის შენარჩუნებას. როგორც სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის ხელმძღვანელმა სამედიცინო დარგში მარინა რუქვაძემ აღნიშნა, ხარაგაულში დონორთა მაღალი აქტივობა დაფიქსირდა და მხარდაჭერისათვის მუნიციპალიტეტის მერიას მადლობა გადაუხადა.

შეგახსენებთ, რომ სისხლის გაღების მსურველთა ასაკი განისაზღვრება 18–დან 60 წლამდე და დონორი არ უნდა იყოს B დაC ჰეპატიტის ვირუსის მატარებელი.

ნოდარ ახალკაცის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ფეხბურთში ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის დასრულდა

3 აგვისტოს ხარაგაულის ცენტრალურ სტადიონზე სტარტი აიღო გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელისა და საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ნოდარ ახალკაცის ხსოვნისადმი მიძღვნილმა ტურნირმა ფეხბურთში, რომელსაც ორგანიზება ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრმა“ გაუწია (დირექტორი გრიგოლ ჭიპაშვილი). თამაშში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების 13 გუნდი მონაწილეობდა. ფინალური შეხვედრა 20 აგვისტოს დაბა ხარაგაულისა და ვარძიის ადმინისტრაციული ერთეულის გუნდებს შორის გაიმართა. მატჩი მეტად დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. გამარჯვება მოიპოვა დაბის გუნდმა ანგარიშით 3:1, რომელსაც სიგელი და სიმბოლური საჩუქარი გადაეცა. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მიერ დაწესებული პრიზით ჩემპიონატის საუკეთესო ნახევარმცველი ამირან სარალიძე (ვარძია) დაჯილდოვდა. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წარმომადგენლებმა პრიზები გადასცეს სხვადასხვა ნომინაციაში წარდგენილ ფეხბურთელებს. დასაჩუქრდნენ შემდეგ ნომინაციებში გამარჯვებულები:

ყველაზე ხანდაზმული მოთამაშე - სოსო აბაშიძე;

საუკეთესო მეკარე - შოთა ბუაჩიძე;

საუკეთესო გოლის ავტორი - ნიკოლოზ გორგოძე;

საუკეთესო ბომბარდირი - თედო ებანოიძე;

საუკეთესო მცველი - კახა წერეთელი;

მაყურებლის სიმპათია - გიგა ჭყოიძე;

საუკეთესო ფეხბურთელი- ლადო თაბუკაშვილი.

ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის“ დირექტორის, გრიგოლ ჭიპაშვილის, ინფორმაციით, აღნიშნული ჩემპიონატი ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ტრადიციული გახდება.

სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ იმერეთის კოორდინატორი ხარაგაულის მოსახლეობას შეხვდა

ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ იმერეთის კოორდინატორმა ჭაბუკი ჭეიშვილმა მოსახლეობასთან შეხვედრა გამართა, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე თემურ ჩხეიძე და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები დაესწრნენ. ბატონმა ჭაბუკიმ დაინტერესებულ პირებს პროგრამაში არსებული სიახლეები გააცნო და დასმულ კითხვებსაც ამომწურავად უპასუხა. მისივე თქმით, პროგრამის მიზანი საქართველოს რეგიონებში ბიზნესის განვითარებაა და პრიორიტეტი მიენიჭება დამწყებ მეწარმეებს, ახალგაზრდებს, ქალ მეწარმეებსა და სოფლად განსახორციელებელი პროექტების ავტორებს. როგორც ჭეიშვილი აცხადებს, კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს მეწარმე სუბიექტს და ასევე იმ მეწარმე სუბიექტთა ჯგუფს, რომელსაც გასულ წლებში მოპოვებული აქვს დაფინანსება და სურს საქმიანობის გაფართოება. დაფინანსების ხელმეორედ მოპოვების მსურველთათვის თანამონაწილეობის წილი 50 პროცენტია, დამწყებთათვის კი- 20 პროცენტი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საგრანტო თანხები წინა წლებთან შედარებით გაზრდილია და შეადგენს 20 000 ლარს. თანადაფინანსების მოსაპოვებლად დაინტერესებული პირები გაივლიან შერჩევის ორ ეტაპს, რომელიც გულისხმობს მონაწილეობას ბიზნეს იდეისა და შემდგომში ბიზნეს გეგმის კონკურსში. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ტექნიკური დახმარება, ტრენინგებისა და ინდივიდუალური კონსულტაციების მეშვეობით.

დაინტერესებულ პირებს, რომელიც არის საქართველოს მოქალაქე და შეუსრულდა 18 წელი, „აწარმოე საქართველოში“ მიკრო გრანტების პროგრამის განაცხადის შევსება 2 სექტემბრის ჩათვლით - qartuli.ge-ზე შეეძლებათ.

ლელა გუგულაშვილი

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595-51-98-12